საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9077/01
23/09/2020

9077-01-2-202009231420

შპს „ბუნებას“
მის: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი,
დარიალის ქუჩა N 19, ბინა 12

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 14 სექტემბრის №14474 წერილი, რომელიც ეხება ხობის მუნიციპალიტეტში სოფ. ახალ ხიბულაში სარწყავი სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებას და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- წარმოდგენილი განცხადების თანახმად, სოფ. ახალ ხიბულაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ: 45.02.25.158), რომლისთვისაც კომპანია გეგმავს სარწყავი სისტემის მოწყობას ამჟამად არის შპს „ბუნებას“ სარგებლობაში, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, კი ნაკვეთი არის ფიზიკური პირის მანუჩარ კირთაძის საკუთრებაში, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ უახლოეს მომავალში ასევე დაგეგმილია ხეხილის ბაღის გაშენება იქვე მდებარე მიწის ნაკვეთზე (5000 $მ^2$ ფართობის ტერიტორიაზე), რომელიც მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზანაში ს/კ: 44.10.21.150. წარმოდგენილი მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ნაკვეთი მდებარეობს სოფ. სატყებუჩაოში და საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 210 მეტრით. ამასთან სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ ცხრილში N1 საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის გრაფაში აღნიშნულია, როგორც ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალი ხიბულა, ასევე სენაკის მუნიციპალიტეტი სოფ. ზანა, როდესაც ანგარიშში განხილულია მხოლოდ სოფ. ახალ ხიბულაში არსებული მიწის ნაკვეთის სარწყავი სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის საკითხი და მისი მოწყობისა და ექსპლუატაციის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების საკითხები, შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ ცხრილში N1 ,,საქმიანობის სახის” გრაფაში აღნიშნულია სასოფლო სამეურნეო პროდუქტების მოყვანა. ვინაიდან

სკრინინგის განცხადება წარმოდგენილია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-2 დანართის 1.3 ქვეპუნქტის “სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია” საფუძველზე, აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს რედაქტირებას;

- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ იგეგმება 80 მმ დიამეტრის პოლიეთილენის სარწყავი მილის მონტაჟი, ამავდროულად განცხადებაში აღნიშნულია, რომ იგეგმება 70 მმ დიამეტრის პოლიეთილენის სარწყავი მილის მონტაჟი, აღნიშნული ჩანაწერები ურთიერთსაწინააღმდეგოა და საჭიროებს დაზუსტებას;

ამასთან გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული ყველა კრიტერიუმის შესახებ ინფორმაციას;

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო აღნიშნულ პროექტზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს განახლებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენის შემდგომ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე